ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4088219

ნომერი: AR1618303

თარიღი : 24.07.2018

გაცემის თარიღი : 25.07.2018

გაცნობის თარიღი : 25.07.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა, N 9;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ყიფიანი პ/ნ 01025012916
- საქართველო, ქალაქი თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, კორპუსი 18, ბინა 16

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია რომლის პასუხად გაცნობებთ:
1. იმისთვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა წარმოადგინოთ საკადასტრო გეგმა საპროექტო ჭიკრის და ბანერის დატანით.
2. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება საპროექტო სამუშაოებით დაინტერესებულია სს „თიბისი ლიზინგი“. განცხადებაზე წარმოდგენილი სარგებლობის ხელშეკრულების 3.1 პუნქტის თანახმად წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2018 წლის პირველი ივნისიდან და მოქმედებს 2021 წლის 01 ივნისის ჩათვლით. ვინაიდან ხელშეკრულება დადებულია ერთ წელზე მეტი ვადით საჭიროა აღნიშნული სარგებლობა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში და შესაბამისი ცვლილება აისახოს ამონაწერში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.